გონგის შემდეგ

გასულ წელს მინსკის “სპარტაკმა” გაიმარჯვა “ბ” კლასის გუნდების ტურნირში და “ა” კლასში გადასვლის უფლება მოიპოვა. მიმდინარე გათამაშებაში მინსკელებმა ცხადყვეს, რომ ეს უფლება მათ დამსახურებულად აქვთ მოპოვებული. გუნდმა მხოლოდ ერთი თამაში წააგო და დაკარგული ქულების მიხედვით მეორე ადგილზე იმყოფება მოსკოვის “დინამოს” შემდეგ.

27 მაისს თბილისის “დინამომ” თავის სტადიონზე მიიღო მინსკის “სპარტაკი”. გუნდები მოედანზე გამოვიდნენ ძირითადი შემადგენლობით – “სპარტაკი”: ხომიჩი, გოლუბევი, მიმრიკი, მალიავკინი, აბრამოვიჩი, მაკაროვი, მოზერი, კურნევი, ეგოროვი, ბაჩურინი, გოლიშჩაპოვი. “დინამო”: სანაია, ელოშვილი, რუსაძე, სარჯველაძე, მახარაძე, ანთაძე, კოტრიკაძე, კ. გაგნიძე, კალოევი, ღოღობერიძე, თოდრია.

თამაში მეტად სწრაფი ტემპით დაიწყო. ორივე მეკარე პირველ წუთებშივე ჩაება თამაშში, ჯერ ხომიჩმა, ხოლო შემდეგ სანაიამ ძლიერად დარტყმული ბურთები კარის ხაზს იქით მოიგერიეს. ტერიტორიული უპირატესობა დასაწყისში დინამოელთა მხარეს იყო, რომლებიც გაშლილად, მოედნის მთელ სიგანეზე უტევდნენ მოწინააღმდეგეს. უკეთესად, ვიდრე წინა მატჩებში, თამაშობდნენ კალოევი და თოდრია. როგორც ყოველთვის აქტიური იყო თბილისელთა მარჯვენა ფრთა. ზედიზედ აღმოჩნდნენ ხელსაყრელ პოზიციაში კალოევი, გაგნიძე, კოტრიკაძე, მაგრამ ხომიჩი დროულად ებმოდა თამაშში, გაბედული, გამოზომილი ნახტომებით უვნებელყოფდა აშკარა საშიშროებას. მე–10 წუთზე ღოღობერიძემ მარცხენა მხრიდან მოაწოდა კუთხური. ზედ კართან ბურთმა ჰაერში მკვეთრად მოუხვია და ხომიჩმა შესანიშნავი ნახტომით მოასწრო მისი მოგერიება.

სტუმრებმა თანდათან გაათანაბრეს თამაში და მალე სრული ძალით ამოქმედდა მათი თავდასხმა. მინსკელთა თავდამსხმელები კარგად არიან შეთამაშებული. ისინი მოქმედებენ მარტივი, მაგრამ ეფექტური 2–3-სვლიანი გადაცემებით. ხშირად იცვლიან ადგილებს და კარგად პოულობენ თავისუფალ ზონას კომბინაციის გაგრძელების, ან კარში დარტყმისათვის. პირველ ხანებში “დინამოს” მცველებს ზედიზედ გაექცნენ მოწინააღმდეგის თავდამსხმელები და მათი კარი რამდენჯერმე აღმოჩნდა აშკარა საფრთხის წინაშე. ასეთი მომენტები ჰქონდათ მოზერს და გოლიშჩაპოვს, ხოლო მე–16 წუთზე სანაიამ ბრწყინვალე ნახტომით ფეხებიდან ააცალა ბურთი ბაჩურინს.

შესამჩნევი, ხანგრძლივი იერიში არც ერთ გუნდს არ ჰქონია. ბურთი ერთი კარიდან მეორისკენ სწრაფად იცვლიდა ადგილს. კვლავ რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო ხომიჩმა ღოღობერიძის, კალოევისა და კოტრიკაძისაგან, ხოლო სანაია გადამწყვეტ წამში ფეხებში ჩაუხტა მასთან პირისპირ დარჩენილ ეგოროვს. ტაიმის დასასრულს თამაშის ტემპმა შესამჩნევად იკლო, მაგრამ მოზერმა უკანასკნელ წუთებში მაინც შეძლო სწრაფად გასულიყო კართან და სარჯველაძემ ძნელ მდგომარეობაში მოიგერია ბურთი.

თამაშის მეორე ნახევარი კვლავ თბილისელთა შეტევით დაიწყო, თავდამსხმელთა რიგებში ხშირად ნახევარმცველებიც ერეოდნენ, მაგრამ “სპარტაკის” შუამარბები დაცვაში ღრმად არ ჩამოდიოდნენ და როგორც კი მიღებდნენ თავისი მცველების მიერ მოგერიებულ ბურთს, სწრაფ კონტრშეტევას ავითარებდნენ და რიცხობრივ უპირატესობას ქმნიდნენ მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე. ეს რამდენჯერმე ისე სწრაფად განმეორდა, რომ “დინამოს” ნახევარმცველები

იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. აღსანიშნავია, რომ ამ დღეს დაცვის ფუნქციებს სუსტად ასრულებდა ანთაძე.

მე–7 წუთზე დინამოელებმა ხანგრძლივი შეტევა წარმართეს მოწინააღმდეგის კართან. ბურთი თითქმის ორი წუთის განმავლობაში არ მოსცილებია სტუმართა კარს. “დინამოს” ყოველ თავდამსხმელს ჰქონდა ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობა, მაგრამ ვერც ერთმა დარტყმამ ვერ მიაღწია მიზანს. მინსკელებმა შეძლეს კარის გადარჩენა ამ მეტად სახიფათო მდგომარეობაში. მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ იძულებული გახდნენ ცენტრიდან დაეწყოთ თამაში. კალოევმა მოედნის სიღრმიდან მიიღო ბურთი, ზუსტად გადააწოდა ღოღობერიძეს, რომელმაც 18 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით “მკვდარი” ბურთი გაგზავნა მაღალ კუთხეში. ხომიჩის ნახტომი ამაო გამოდგა – 1:0.

სამი წუთი არ იყო გასული, როცა მინსკელებმა მარცხენა ფრთაზე მიაწოდეს ბურთი. აქ ელოშვილმა, რომელიც ამ დროს უყურადღებოდ თამაშობდა, ფეხი ააცდინა ბურთს და კურნეევმა ძლიერი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში.

35–ე წუთზე თოდრიამ, გაგნიძემ და კოტრიკაძემ ერთად შეუტიეს მოწინააღმდეგეს, ხომიჩი გამოვიდა კარიდან, წამით დააგვიანა და კოტრიკაძემ ოსტატურად გაიტანა მეორე ბურთი – 2:1.

გაისმა გონგის ხმა. თბილისელები კვლავ შეტევაზე იყვნენ, მაგრამ გოლოსჩაპოვი მოულოდნელად გაიჭრა მარჯვენა ფრთაზე, გაუსხლტა ელოშვილს და კართან მიაწოდა ბურთი. იგი მიიღო ეგოროვმა. დარტყმა – 2:2.

დუბლიორთა მატჩი დამთავრდა ფრედ – 0:0.

ვ. ხეცურიანი.
“ლელო”, 30 მაისი, 1954 წ.